ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4641011

ნომერი: AR1701677

თარიღი : 15.08.2019

გაცემის თარიღი : 21.08.2019

გაცნობის თარიღი : 21.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , ნაკვეთი 01/040 ; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, საკალათბურთო კლუბ "დინამო"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დააზუსტოთ საპროექტო შენობა ნაგებობების ზუსტი ფუნქცია, მოგახსენებთ რომ ახალი გენგეგმის განუყოფელი ნაწილი არის თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების 68-ე მუხლის თანახმად თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონების და ქვეზონების: სარეკრეაციო ზონის, სარეკრეაციო ზონა 1-ის, სარეკრეაციო ზონა 2-ის, სარეკრეაციო ზონა 3-ის, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის, სატყეო ზონის გათვალისწინება მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის გაცემის დროს სავალდებულოა და საჭიროა აღნიშნული ზონების მოთხოვნების დაცვა, მიუხედავად იმისა, ადევს თუ არა საპროექტო მიწის ნაკვეთს რომელიმე სამშენებლო ზონა.

ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით ადევს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), შესაბამისად აღნიშნულ ზონაში შესაძლებელია მოეწყოს მხოლოდ ზონისთვის დასაშვები სახეობები, ამასთან გაითვალისწინეთ რომ მითითებული ფუნქცია შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი შენობების ვიზუალთან.

ასევე ვინაიდან თქვენს ნაკვეთზე(ს.კ N 01.13.02.001.069) ფიქსირდება ხაზოვანი ნაგებობები : წყალარინების ქსელი (ს.კ 01.02.696) და ბუნებრივი არით მომარაგების ძირითადი ქსელი, შესაბამისად წარმოსადგენი გექნებათ მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და გრაფიკულად დამოწმებული გენგეგმა.

ამასთან მოგახსენებთ რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი მინდობილობა მისაღები არ არის, რადგან აღნიშნული გაცემულია მოქ. დავით ხიდეშელის როგორც ფიზიკური პირის და არა როგორც შპს ბელაჯიოს დირექტორის მიერ. წარმოდგენილი იქნს სათანადო მინდობილობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.